

ოპერაციები, რომლებიც არ განიხილება საქონლის მიწოდებად ან მომსახურების გაწევად

შესავალი:

1. ოპერაციები, რომლებიც არ განიხილება საქონლის მიწოდებად ან მომსახურების გაწევად რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-7 ნაწილით და 160¹ მუხლის მე-5 ნაწილით, ხოლო აღნიშნული ნორმების გამოყენების წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის XII² თავში.

2. წინამდებარე მაგალითებში გამოყენებული, ტერმინები განმარტებულია „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის XII² თავში, კერძოდ:

ა) **მიმწოდებელი** – დასაბეგრი პირი, რომელიც აწვდის ყველა აქტივს ან აქტივების ნაწილს (დამოუკიდებლად ფუნქციონირებად ქვედანაყოფს);

ბ) **შემძენი** – დასაბეგრი პირი, რომელიც იძენს ყველა აქტივს ან აქტივების ნაწილს (დამოუკიდებლად ფუნქციონირებად ქვედანაყოფს);

გ) **ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდება** – ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე იმ აქტივთა ერთობლიობის მიწოდება, რომლებიც წარმოადგენენ მიმწოდებლის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ და საკმარის აქტივებს;

დ) **დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფი** – დასაბეგრი პირის აქტივების ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანხლები კომუნიკაციების ერთობლიობას და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე;

ე) **საწარმოს კაპიტალში აქტივის შეტანა** - საწარმოს მომავალი ან მოქმედი აქციონერის/პარტნიორის მიერ საწარმოს აქციის/კაპიტალში წილის შეძენის ან მისი ღირებულების გაზრდის სანაცვლოდ კაპიტალის მქონე საწარმოს საკუთრებაში ქონების გადაცემა, რომელიც აისახება ამ საწარმოს ბალანსში;

ვ) **ამხანაგობაში აქტივის შეტანა** - ამხანაგობისთვის (ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრებაში) ქონების გადაცემა მასში მონაწილეობის სანაცვლოდ, ამ ამხანაგობის სამეურნეო ან/და სხვა მიზნების მისაღწევად.

ზ) **რეორგანიზაცია** - ოურიდიული პირის:

ზ.ა) გარდაქმნა;

ზ.ბ) შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება);

ზ.გ) გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).

თ) **აქტივის მიმწოდებლის უფლებამონაცვლე** - პირი, რომელმაც ყველა აქტივის ან დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდების, საწარმოს კაპიტალში ან ამხანაგობაში აქტივების შეტანის ან რეორგანიზაციის ფარგლებში მიიღო აქტივი.

ნაწილი 01. ყველა აქტივის ან დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდება

1. მაგალითი 1. (ბიზნესის მიწოდება)

პირობა:

შპს „A“ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დასაბეგრი პირი, რომლის ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს ავეჯის წარმოება. ამ საქმიანობის მიზნებისათვის, შპს „A“-ს საკუთრებაში გააჩნია შენობა-ნაგებობა, სადაც ხორციელდება ავეჯის წარმოება, და შესაბამისი მანქანა-დანადგარები და ხელსაწყოები. შპს „A“-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ნედლეულის მიმწოდებლებთან და შრომითი ხელშეკრულებები დაქირავებულებთან.

შპს „A“ გეგმავს საწარმოს ყველა აქტივის მიწოდებას შპს „B“-სთვის, რომელიც ასევე წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ დასაბეგრ პირს. კერძოდ, მხარეები გეგმავენ წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის საფუძველზეც, შპს „A“ შპს „B“-ს საკუთრებაში გადასცემს შენობა-ნაგებობას, მანქანა-დანადგარებს და ხელსაწყოებს, რომლებიც გამოიყენება მოცემულ საქმიანობაში. აღნიშნული აქტივების მემშვეობით შპს „B“ გეგმავს ავეჯის წარმოების გაგრძელებას.

შეფასება:

განსახილველ შემთხვევაში, შპს „A“-ს მიერ შემძენისათვის (შპს „B“) ერთიანი გარიგების ფარგლებში ხდება ავეჯის წარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა აქტივის მიწოდება. კერძოდ, შემძენის საკუთრებაში გადადის შესაბამისი ძირითადი საშუალებები (შენობა-ნაგებობა, მანქანა-დანადგარები და ხელსაწყოები).

ამდენად, შპს „A“-ს მიერ ხორციელდება იმ აქტივთა ერთობლიობის მიწოდება, რომლებიც წარმოადგენენ ავეჯის წარმოებისათვის აუცილებელ და საკმარის აქტივებს. შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემული ოპერაცია არ იქნება განხილული საქონლის მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად დღგ-ის მიზნებისათვის.

2. მაგალითი 2. (ბიზნესის მიწოდება)

პირობა:

შპს „A“ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დასაბეგრი პირი, რომლის საქმიანობას წარმოადგენს ავეჯის წარმოება და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება. ავეჯის წარმოების მიზნებისათვის, შპს „A“-ს საკუთრებაში გააჩნია შენობა-ნაგებობა, სადაც ხორციელდება ავეჯის წარმოება, შესაბამისი მანქანა-დანადგარები და ხელსაწყოები. ასევე, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთების საქმიანობის მიზნებისათვის, შპს „A“-ს საკუთრებაშია კომერციული ფართი და ხელსაწყოები, რაც აუცილებელია და საკმარისია მოცემული საქმიანობის განსახორციელებლად.

შპს „A“ გეგმავს საწარმოს ავეჯის წარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა აქტივის მიწოდებას შპს „B“-სთვის, რომელიც ასევე წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ დასაბეგრ პირს. კერძოდ, მხარეები გეგმავენ წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის საფუძველზეც, შპს „A“ შპს „B“-ს საკუთრებაში გადასცემს შენობა-ნაგებობას, მანქანა-დანადგარებს და ხელსაწყოებს, რომლებიც გამოიყენება მოცემულ საქმიანობაში. აღნიშნული აქტივების მემკვიდრეობით შპს „B“ გეგმავს ავეჯის წარმოების გაგრძელებას.

შეფასება:

განსახილველ შემთხვევაში, შპს „A“-ს მიერ შემძენისათვის (შპს „B“) ერთიანი გარიგების ფარგლებში ხდება მისი ავეჯის წარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა აქტივის მიწოდება. მოცემულ შემთხვევაში, გადასაცემი აქტივები ქმნიან ერთმანეთთან დაკავშირებულ აქტივთა ერთობლიობას, რომლებიც წარმოადგენენ მიმწოდებლის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ და საკმარის აქტივებს. შესაბამისად, სახეზეა შპს „A“-ს მიერ დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდება.

ამდენად, შპს „A“-ს მიერ ხორციელდება იმ აქტივთა ერთობლიობის მიწოდება, რომლებიც ერთმანეთთან ფუნქციურად არიან დაკავშირებული და წარმოადგენენ შესაბამისი სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის - ავეჯის წარმოებისათვის აუცილებელ და საკმარის აქტივებს. შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემული ოპერაცია არ იქნება განხილული საქონლის მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად დღგ-ის მიზნებისათვის.

3. მაგალითი 3. (ბიზნესის მიწოდება)

პირობა:

შპს „A“ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რომლის საკუთრებაშია შპს „B“-ის წილის 100%. შპს „B“-ის საქმიანობას წარმოადგენს ავეჯის დამზადება, საკუთრებაში გააჩნია ამ საქმიანობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები, ჰყავს მაღალკვალიფიციური პერსონალი (შრომითი კონტრაქტით დაქირავებული პირები), გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პროდუქციის შემძენებთან და ნედლეულის მიმწოდებლებთან. ამასთან, შენობა-ნაგებობა, რომელშიც შპს „B“ ახორციელებს აღნიშნულ ეკონომიკურ საქმიანობას, წარმოადგენს შპს „A“-ს საკუთრებას.

შპს „A“, როგორც შპს „B“-ს წილის 100%-ის მესაკუთრე, გეგმავს ავეჯის წარმოების საქმიანობის გასხვისებას, რა მიზნითაც შპს „C“-სთან გააფორმა ერთიანი გარიგება, მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და შპს „B“-ს წილის 100%-ის მიწოდების თაობაზე.

შეფასება:

განსახილველ შემთხვევაში, შპს „C“-სთვის შპს „A“-ს აქტივების შეძენის მიზანს წარმოადგენს ავეჯის დამზადების ეკონომიკური საქმიანობა. თუმცა, მოცემულ

შემთხვევაში, მხოლოდ შპს „A“-ს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა არ არის საკმარისი მოცემული საქმიანობის გაგრძელებისათვის და, აქედან გამომდინარე, გარიგების საგანს წარმოადგენს შპს „B“-ის წილის 100%.

რაც შეეხება წილს იურიდიულ პირში (იურიდიული პირის აქციებს), მოცემულ შემთხვევაში, იგი ვერ იქნება განხილული შპს „A“-ს მიერ ყველა აქტივის ან დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდების ფარგლებში მისაწოდებელ აქტივად, რამდენადაც, უშუალოდ მოცემული აქტივი არ გამოიყენება კონკრეტულ ეკონომიკურ საქმიანობაში - ავეჯის დამზადებაში. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, იურიდიული პირი წარმოადგენს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტს და, აქედან გამომდინარე, წილი იურიდიულ პირში (იურიდიული პირის აქციები) არ შეიძლება გაიგივებული იქნას ამ იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ აქტივებთან.

ამრიგად, შპს „A“-ს მიერ ერთიანი გარიგების ფარგლებში, მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და შპს „B“ წილის 100%-ის მიწოდება არ წარმოადგენს ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდებას.

4. მაგალითი 4. (ბიზნესის მიწოდება)

პირობა:

შპს „A“ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რომელიც საქმიანობს საბროკერო სფეროში. კერძოდ, მოცემული საწარმოს საქმიანობა მოიცავს კაპიტალში წილის, აქციების, ობლიგაციების, სერტიფიკატების, თამასუქების, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან დაკავშირებულ ოპერაციებს და მათ მომსახურებას.

შპს „A“ გეგმავს აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა აქტივის მიწოდებას შპს „B“-სთვის, რომელიც ასევე წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. კერძოდ, მხარეები გეგმავენ წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის საფუძველზეც, შპს „A“ შპს „B“-ს საკუთრებაში გადასცემს მის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა აქტივს, რომელიც აუცილებელია და საკმარისია შპს „B“-ს მიერ ამავე საქმიანობის გაგრძელებისათვის. ამასთანავე, გადასაცემი აქტივები მოიცავს სხვადასხვა იურიდიული პირების კაპიტალში წილებს, აქციებს, ასევე სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებს, რომელიც გარიგების განხორციელების მომენტისათვის შპს „A“-ს საკუთრებაში იქნება.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, სხვადასხვა იურიდიული პირების კაპიტალში წილები, აქციები, ასევე სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდები, რომელიც გარიგების განხორციელების მომენტისათვის შპს „A“-ს საკუთრებაში იქნება, წარმოადგენს ამ საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებულ აქტივებს. აქედან გამომდინარე, რამდენადაც, შპს „A“ ერთიანი გარიგების ფარგლებში შპს „B“-ს საკუთრებაში გადასცემს მის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა აქტივს, რომელიც აუცილებელია და საკმარისია შპს „B“-ს მიერ ამავე საქმიანობის გაგრძელებისათვის, მოცემულ ოპერაციაზე გავრცელდება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 50¹ მუხლის დებულებები.

5. მაგალითი 5. (ბიზნესის მიწოდება)

პირობა:

მოცემულობა იგივეა, რაც №1 მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ შპს „A“ შპს „B“-ს ერთიანი გარიგების საფუძველზე საკუთრებაში გადასცემს შენობა-ნაგებობას, მანქანა-დანადგარებს და ხელსაწყოებს, რომლებიც გამოიყენება ავეჯის დამზადების საქმიანობაში და, ასევე, შენობა-ნაგებობას, რომელიც შპს „A“-ს მიერ გრძელვადიანი იჯარით არის გაცემული.

შეფასება:

განსახილველ შემთხვევაში, შპს „A“-ს მიერ შემძენისათვის ერთიანი გარიგების ფარგლებში ხდება მის ავეჯის წარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა იმ აქტივის მიწოდება, რაც აუცილებელია და საკმარისია შემძენის მიერ იმავე საქმიანობის გაგრძელებისათვის. ამასთანავე, გარიგების ობიექტს წარმოადგენს შენობა-ნაგებობა, რომელიც არ უკავშირდება მოცემულ ეკონომიკურ საქმიანობას და, ასევე, არ წარმოადგენს ხელშემწყობ აქტივს ამ საქმიანობის გაგრძელებისთვის. შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მიწოდება განხილული იქნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად. ამავე დროს, დანარჩენი აქტივების მიწოდებაზე გავრცელდება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 50¹ მუხლის დებულებები.

6. მაგალითი 6. (ბიზნესის მიწოდება)

პირობა:

შპს „A“ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რომლის ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული მაღაზიის ოპერირება. ამ საქმიანობის მიზნებისათვის, შპს „A“-ს საკუთრებაში გააჩნია შენობა-ნაგებობა, ძირითადი საშუალებები და სხვა აქტივები, რომელიც აუცილებელია და საკმარისია მოცემული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის. ამასთანავე, მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, იმ შენობა-ნაგებობის ფართის მცირე ნაწილი, რომელშიც განთავსებულია მაღაზია, გადაცემულია იჯარით აღნიშნული პირისათვის. იჯარით მიღებულ ფართზე მოიჯარის მიერ განთავსებულია ბანკომატი და სწრაფი გადახდის აპარატი.

შპს „A“ გეგმავს მაღაზიის ოპერირებასთან დაკავშირებული ყველა აქტივის მიწოდებას შპს „B“-სთვის, რომელიც ასევე წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. აღნიშნული აქტივების მეშვეობით შპს „B“ გეგმავს ამავე საქმიანობის გაგრძელებას.

შეფასება:

განსახილველ შემთხვევაში, შპს „A“-ს მიერ შემძენისათვის (შპს „B“) ერთიანი გარიგების ფარგლებში გადასაცემი შენობა-ნაგებობის ნაწილი გაცემულია იჯარით, რაც არ არის პირდაპირ კავშირში მაღაზიის ოპერირების საქმიანობასთან. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ იჯარით გაცემულია ფართის მცირე ნაწილი, აღნიშნული გარემოება არ უნდა იქნას მიღებული მხედველობაში და, შესაბამისად, არ უნდა იქნას

მიჩნეული ოპერაციაზე „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 50¹ მუხლის დებულებების გავრცელების დამაბრკოლებელ გარემოებად.

7. მაგალითი 7. (ბიზნესის მიწოდება)

პირობა:

შპს „A“-ს, რომელიც წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს, საკუთრებაში გააჩნია შენობა-ნაგებობა, რომელშიც მოწყობილია სავაჭრო ცენტრი. შპს „A“-ს ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს აღნიშნული სავაჭრო ცენტრის მართვა. ამ საქმიანობის ფარგლებში, სავაჭრო ცენტრში განთავსებული სხვადასხვა კომერციული/საოფისე ფართები აღნიშნულ საწარმოს გაცემული აქვს იჯარით.

შპს „A“ გეგმავს, ერთიანი გარიგების ფარგლებში, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ შპს „B“-სთვის, სავაჭრო ცენტრის მართვასთან დაკავშირებული ყველა აქტივის, მათ შორის, ამ საქმიანობის ფარგლებში იჯარით გაცემული უძრავი ქონების, მიწოდებას.

შეფასება:

მოცემულ შემთხვევაში, შპს „A“-ს საქმიანობას წარმოადგენს სავაჭრო ცენტრის ოპერირება (მართვა), რაც თავის მხრივ, გულისხმობს კომერციული/საოფისე ფართების იჯარით გაცემას. ამდენად, შპს „A“-ს მიერ აქტივების იჯარით გადაცემა წარმოადგენს იმ ეკონომიკური საქმიანობის განუყოფელ, შემადგენელ ნაწილს, რომელთან დაკავშირებითაც ხორციელდება ყველა აქტივის ან მისი ნაწილის (დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის) მიწოდება და, შესაბამისად, მოცემულ ოპერაციაზე გავრცელდება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 50¹ მუხლის დებულებები.

ნაწილი 02. კაპიტალში აქტივების შეტანა

8. მაგალითი 1. (უფლებამონაცვლე)

პირობა:

შპს „A“ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რომელმაც 2023 წლის 1 მაისს მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა შპს „B“-ს კაპიტალში შეიტანა. ამასთან, მოცემული შენობა-ნაგებობა გამოიყენებოდა როგორც ისეთ ოპერაციებში, რომელზეც დასაბეგრ პირს აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ასევე ისეთ ოპერაციებში, რომელზეც ეს უფლება არ წარმოიშობა და ამ ოპერაციების გამოიჯვანა შეუძლებელია. შესაბამისად, აღნიშნულ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც შპს „A“-ს მიერ შეძენილი იყო 2021 წლის 1 თებერვალს, დღგ-ის ჩათვლას აღნიშნული საწარმო ახორციელებდა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

შეფასება:

შპს „A“-ს მიერ შენობა-ნაგებობის შპს „B“-ს კაპიტალში შეტანის შედეგად, შპს „B“ ითვლება შპს „A“-ს უფლებამონაცვლედ მოცემულ შენობა-ნაგებობასთან მიმართებით. კერძოდ, ამ საწარმოზე გადავა შენობა-ნაგებობასთან მიმართებით შპს „A“-ს მიერ მისი შეძენისას გადახდილ დღგ-თან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა უფლება და ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, შპს „A“-ს უნარჩუნდება შენობა-ნაგებობის შეძენისას გადახდილი დღგ-ის

ჩათვლა, რომელიც მას განხორციელებული აქვს 2021-2022 კალენდარული წლების ბოლო საანგარიშო პერიოდების დეკლარაციებით.

ამასთან, შპს „B“ განსახილველი შენობა-ნაგებობის მიხედვით 2023 წლიდან უფლებამოსილია მიიღოს ჩათვლა კალენდარული წლის საერთო ბრუნვის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების მიხედვით.

9. მაგალითი 2. (უფლებამონაცვლე)

პირობა:

შპს „A“ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რომელმაც 2023 წლის 1 მაისს მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა შპს „B“-ს კაპიტალში შეიტანა. ამასთან, მოცემული შენობა-ნაგებობა გამოიყენებოდა როგორც ისეთ ოპერაციებში, რომელზეც დასაბეგრ პირს აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ასევე ისეთ ოპერაციებში, რომელზეც ეს უფლება არ წარმოიშობა და ამ ოპერაციების გამოჯვანა შეუძლებელია.

აღნიშნულ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც შპს „A“-ს მიერ შეძენილი იყო 2021 წლის 1 თებერვალს, საწარმომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლა განხორციელა სრულად პირველივე საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან შპს „A“-ს 2020 წელს ოპერაციების თანხა, რომელზეც არ ჰქონდა დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება, საერთო ბრუნვის 20%-ზე ნაკლები იყო.

შეფასება:

შპს „A“-ს მიერ შენობა-ნაგებობის შპს „B“-ს კაპიტალში შეტანის შედეგად, შპს „B“ ითვლება შპს „A“-ს უფლებამონაცვლედ მოცემულ შენობა-ნაგებობასთან მიმართებით. კერძოდ, ამ საწარმოზე გადავა შენობა-ნაგებობასთან მიმართებით შპს „A“-ს მიერ მისი შეძენისას გადახდილ დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა უფლება და ვალდებულება. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, შპს „A“-ს უნარჩუნდება შენობა-ნაგებობის შეძენისას გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა, რომელიც მას განხორციელებული აქვს სრულად შეძენის საანგარიშო პერიოდში.

ამასთან, შპს „B“ განსახილველ შენობა-ნაგებობის მიხედვით ვალდებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის შესაბამისად 2023 – 2030 წლების დეკემბრის საანგარიშო პერიოდებზე გაიუქმოს (დაირიცხოს) დღგ-ის თანხა კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში იმ დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წილის პროპორციულად, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება;